საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუკუზანი

მუკუზანი, კახეთის რეგიონში, მუკუზნის მიკროზონაში საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ადგილწარმოშობის დასახელების, კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის წითელი მშრალი ღვინო. **მ.** დადუღებულია ქართული ტრადიციული ტექნოლოგიით; სრულსხეულიანია, გაჯერებულია ხილის ტონებით. ხასიათდება ალუბლისა და მაყვლის არომატით. **მ**-ს აძველებენ მუხის კასრებში (3 წელი). მასში ალკოჰოლის შემცველობა არის 10,5–12,5%, ტიტრული მჟავიანობა – 6,0–7,0%. **მ.** იწარმოება 1888-იდან და მიჩნეულია საფერავისგან ნაწარმოებ საუკეთესო მშრალ ღვინოდ. დაჯილდოებულია მრავალი საერთაშ. მედლით.